შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№46 (9.807)
25 ნოემბერი-2 დეკემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

„ხელისუფლებაში ყოფნა საპატიოცაა და უდიდესი პასუხისმგებლობის შემცველიც...“

გვ.3

გვ.4

„ყულაბა“ ღირსეული სიბერისთვის...

შირაქელი – ჩვენი საავიზიტო ბარათი

გვ.8

გაიცანით 2017 წლის მოწვევის დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრები

გვ.2-3

გვ.5

კულტურაში იბადება, იზრდება და მაღლდება სიყვარული...

გვ.6

მიტროპოლიტი ზიო – მოსაყდრე და მომავალი პატრიარქი?

ტერორიზმის საფრთხე და საქართველო

გვ.7

C M Y K

გაიცანით დედოფლისწყაროს

ნუგზარ პაპიაშვილი – საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნება“, 60 წლის, პედაგოგი.

გოჩა სამუკაშვილი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „ქართული ოცნება“, 44 წლის, ეკონომისტი.

მამუკა სეფიაშვილი – „ქართული ოცნება“, 43 წლის, იურისტი.

დავით ალულიშვილი – „ქართული ოცნება“, 55 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი.

ალექსანდრე ბენაშვილი – „ქართული ოცნება“, 36 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი.

ნიკოლოზ ხუციშვილი – „ქართული ოცნება“, 35 წლის, ინჟინერ-გეოლოგი.

ზაზა მეხრიშვილი – „ქართული ოცნება“, 45 წლის, ეკონომისტი.

გიორგი გოგილაშვილი – „ქართული ოცნება“, 61 წლის, ფიზიკოსი.

მიხეილ ბახუტაშვილი – „ქართული ოცნება“, 49 წლის, პედაგოგი.

არსენ ბალაშვილი – „ქართული ოცნება“, 29 წლის, ეკონომისტი.

გივი გიგაური – „ქართული ოცნება“, 48 წლის, ისტორიკოსი.

ვასილ ჩოვუშიანი – „ქართული ოცნება“, 44 წლის.

ჯემალ კოტაშვილი – ეკონომისტი-69 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ეთერ ზურიკაშვილი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, 64 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ბაბალე თეთრაული – სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი, 51 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

დავით გონაშვილი – პედაგოგი, 57 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ნუგზარ ყოჩიაშვილი – იურისტი, 30 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ალექსანდრე პაპაჩაშვილი – სამართალმცოდნე, 60 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

აკაკი ქავთარაძე – საშუალო განათლება, 36 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ვასილ სამადაშვილი – ექიმი, 53 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნევრები:

გიორგი ჭინჭარაული – პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“

ლევან გალაშვილი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 38 წლის, ეკონომისტი.

ლევან იაკობიშვილი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 38 წლის, იურისტი.

ავთანდილ ხარხელაური – ექიმი, 50 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა“.

ნოშრევან ნატროშვილი – ეკონომისტი, 56 წლის, „ევროპული საქართველო“.

ივანე შანშიაშვილი – ეკონომისტი, 53 წლის, პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო“.

შოთა ჭინჭარაული – ფილოსოფოსი, 60 წლის, „პატრიოტთა ალიანსი“

შალვა ხორნაული – მწვრთნელი, 61 წლის, „პატრიოტთა ალიანსი“.

„ხელისუფლებაში ყოფნა საპატიოცაა და უდიდესი პასუხისმგებლობის შემცველიც...“

ნუგზარ პაპიაშვილი

დაიბადა 1958 წლის 1 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში. 1983 წელს დაამთვრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მიენიჭა ისტორიკოსის, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნრეობის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1983-1985 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისის N71-ე პროფესიულ სასწავლებელში ისტორიის მასწავლებლად. 1985-1991 წლებში ნუგზარ პაპიაშვილი თბილისის N2 მუსიკალურ სასწავლებელში აგრძელებს ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის პედაგოგად მუშაობას. 1991 წლიდან 1993 წლამდე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის დირექტორია, ხოლო 1994-1997 წლებში ამავე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე. 1997-2000 წლებში ის დედოფლისწყაროს გამგეობის საორგანიზაციო განყოფლებას ხელმძღვანელობს, რის შემდეგაც კვლავ პედაგოგიურ საქმიანობას უბრუნდება და 2000 წელს ქ.თბილისის N89-ე საჯარო სკოლის დირექტორად იწყებს მუშაობას, ხოლო 2007 წელს N193-ე საჯარო სკოლის დირექტორად. 2009 წლიდან 2012 წლამდე ის კვლავ მშობლიურ სოფელს ხელმძღვანელობს. 2013 წლის იანვრიდან ნუგზარ პაპიაშვილი კახეთის სატყეო სამმართველოს, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან 2014 წლის ივლისამდე გარემოს ზედამხედველობის კახეთის სამსახურის უფრისის პოსტებს იკავებს.

2014 წლის 14 ივლისიდან ნუგზარ პაპიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა, 2017 წლის 5 აპრილს კი ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ნუგზარ პაპიაშვილი რამდენიმე დღის წინ 2017 წლის მოწვევის საკრებულოს წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარედ მეორე ვადით აირჩიეს. გთავაზობთ მასთან ბლიც ინტერვიუს, საიდანაც შეიტყობთ, როგორია ის საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლის მიღმა, რა ღირებულებებია მისთვის ფასეული, რას ნანობს და ვინაა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი.

-ხელისუფლებაში ყოფნა არის...

-საპატიოც და ამავე დროს, უდიდესი პასუხისმგებლობის შემცველიც.

ბედნიერი ვარ და მიხრია, რომ იმ პერიოდში მომიხდა რაიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე მუშაობა, როდესაც ბევრი რამ კეთდება დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.

-დედოფლისწყარო ჩემთვის არის...

-ჩემი უსაყვარლესი რაიონი, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც დღემდე ვცხოვრობ...

-ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ...

-დრო ასე სწრაფად გავიდოდა...

-მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

-პირველი შვილის დაბადება. ამ მოვლენის შემდეგ უკვე სხვანაირად ვუყურებ ცხოვრებას.

-ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში...

-ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, არის და იქნება დედა. დღესაც, 60 წლის კაცი, რომელიც უკვე პაპა ვარ, ხშირად სიზმარში ვხედავ მას. ეს არის ადამიანი, ვის მიმართაც განსაკუთრებული მონატრების გრძნობა მაქვს.

-უარს ვერასოდეს ვიტყვი...

-მეგობრებთან ყოფნაზე, მათთან ერთად დროსტარებაზე...

-როცა მაქებენ...

-მსიამოვნებს.

-როცა მატყუებენ...

-ყოველთვის ვგრძნობ ამას და მეცინება.

-როცა მაკრიტიკებენ....

-არ მომწონს.

-ბოროტება ჩემთვის არის...

-მიუღებელი.

-ვნანობ, რომ...

- უფრო მეტი შვილი არ მყავს. მართალია, სამი შვილის მამა ვარ, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახი უფრო მომწონს.

-ჩემთვის მიუღებელია...

-ღალატი.

-არასოდეს ვამბობ...

-არასოდეს ვამბობ, არასოდეს...ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

-ცხოვრება რომ თავიდან იწყებოდეს...

-ჩემს ცხოვრებაში არაფერს არ შეცვლიდი.

-წლები და ასაკი ცხოვრებაში რას ცვლის...

-ასაკი გაძლევს დიდ გამოცდილებას და, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიც ხდები. აღარ გჭირდება ადამიანის გაცნობისთვის იმდენი დრო, რაც ადრე გჭირდებოდა...

- თავისუფლება არის...

-აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. თავისუფლებაა, როდესაც საქციელში, მოქმედებაში და სიტყვაში არავინ არ გზღუდავს, მაგრამ შენს ქმედებაში შინაგანი საზღვარი ყოველთვის არსებობს.

-ჩემი კომფორტისთვის აუცილებელია...

-კანონიდან და სამართლიდან გამომდინარე, ვიმოქმედო ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

-ტყუილი გამართლებულია, როცა...

-როდესაც სხვას ზიანს არ აყენებ, ანდა ახლობელი ადამიანის დიდი ტკივილისგან დაცვას ცდილობ...

-რამ შეიძლება მდგომარეობიდან გამოიყვანოს...

- უმადურობამ და უსამართლობამ.

-ყველაზე ხშირად ვფიქრობ...

-შვილებზე, მათ მომავალზე...

-მარადიულია...

-სიკეთე... სანამ ცოცხალი ხარ, მაშინაც ჩანს, და მაშინაც, როდესაც ამ ქვეყნად აღარ იქნები.

-განმარტოება მიყვარს, როცა...

-განმარტოება მიყვარს ხშირად, მაშინაც, როდესაც რაიმე პრობლემის გადაჭრა მიწევს და მაშინაც, როდესაც ბედნიერი ვარ.

-სტიმულს მაძლევს...

-შვილები და შვილიშვილები.

-ბედნიერება არის...

-ერთი სიტყვით ამის განსაზღვრა ძალიან ძნელია. ალბათ, ამის განცდაც ინდივიდუალურია, თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ბედნიერება არის პატარ-პატარა სიხარულების ერთობლიობა. ბედნიერებაა, როდესაც შენს გარშემო თავს ყველა კარგად გრძნობს. სხვების ბედნიერების გარეშე მარტო ბედნიერი ვერასოდეს იქნები.

-ცხოვრების არც ერთ დღეს არ ჩაუვლია...

-შრომის გარეშე.

-თქვენი საყვარელი მწერალი...

-ვაჟა-ფშაველა.

-საყვარელი ნაწარმოები...

-პოემა „ბახტრიონი“ და „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

-ვერასოდეს ვიქნებოდი...

- თვითმფრინავის პილოტი ან კოსმონავტი.

-იმედგაცრუება...

-ადამიანმა იმედი არასოდეს უნდა დაკარგოს, რადგან ხშირ იმედგაცრუებას სხვა უიღბლობა მოჰყვება. უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება მშვენიერია, ამიტომაც უნდა ვიცხოვროთ და ვიაზროვნოთ პოზიტიურად.

საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნინო მჭედლიშვილმა გახსნა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას 21 ოქტომბერს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შედეგები გააცნო და სიტყვა საკრებულოს უხუცეს წევრს, ჯემალ კოტაშვილს გადასცა. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ საკრებულომ სამანდატო და ხმის დამთვლელი დროებითი კომისიები აირჩია. სამანდატო დროებით კომისიას გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული არჩევნების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საკრებულოს შესაბამისი დასკვნა გააცნო. კერძოდ, 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში 28 წევრია. აქედან, 13 წევრი მაჟორიტარული წესით, 15 კი პროპორციული სიით არჩეული . 28 წევრიდან მპგ ,,ქართულ ოცნებას“ 21 წარმომადგენელი ჰყავს, ნაციონალურ მოძრაობას- 3, ,,ევროპულ საქართველოსა“ და ,,პატრიოტთა ალიანსს“ კი 2-2 წარმომადგენელი.

საკრებულოს წევრებმა ამ დასკვნის საფუძველზე ახლადარჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილება სცნეს . ამ დროიდან უფლებამოსილება შეუწყდათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2014 წლის მოწვევის საკრებულოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა, რომ დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა. საკრებულოს წევრები თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელებაში ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ- ყველამ ნუგზარ პაპიაშვილის კანდიდატურა წარადგინა. წარმოდგენილი კანდიდატურა ფარული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით იქნა არჩეული. ასევე, ხმათა უმრავლესობა მოიპოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურამაც. აღნიშნულ პოსტზე გოჩა სამუკაშვილის კანდიდატურა საკრებულოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა დაასახელა.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და ბიუროს შექმნა.

საკრებულოს წევრებმა ფარული კენჭისყრით იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ გიორგი გოგილაშვილი აირჩიეს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ- ჯემალ კოტაშვილი, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ- მიხეილ ბახუტაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ -გივი გიგაური, ხოლო სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ -ნიკოლოზ ხუციშვილი.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს კენჭისყრებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

იმ დღესვე საკრებულოში ორი ფრაქცია -,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (თავმჯდომარე დავით ალუღიშვილი) და ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი) ჩამოყალიბდა.

სხდომის დასასრულს შეიქმნა საკრებულოს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ნუგზარ პაპიაშვილი, გოჩა სამუკაშვილი, გიორგი გოგილაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, მიხეილ ბახუტაშვილი, გივი გიგაური, ნიკოლოზ ხუციშვილი, დავით ალუღიშვილი და ლევან ბაღაშვილი.

„ყულაბა“ ღირსეული სიბერისთვის...

2018 წლის მესამე კვარტლიდან კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდება. საპენსიო რეფორმის განხორციელება ერთდროულად დაიწყება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

ჩვენ ორი კვირის წინ გაგაცანით ამ კანონპროექტის ძირითადი სქემა, ახლა ვეცდებით, ჩვენი საზოგადოების წინასწარ განწყობას ვადევნოთ თვალი და მათი მოსაზრებები გაგიზიაროთ. როგორ მოსწონთ მათ ეს რეფორმა და რამდენად არის დღეს ჩვენი მოსახლეობა მზად ამ ცვლილებებისთვის, კითხვებზე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გვპასუხობენ.

ეკა გონაშვილი, **ნევროლოგი**- მე,როგორც რიგითი მოქალაქე, მივესალმები ყველა იმ რეფორმას, რომელიც უზრუნველჰყოფს ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვთლი, რომ რეფორმას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე.

მისაღებია უზრუნველი სიბერე და საპენსიო დანაზოგი,თუმცა, გათვალისწინებული უნდა იყოს სახელფასო შემოსავალი, ვინაიდან, მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს მაღალ ანაზღაურებადი ხელფასი.

ჩვენ, ადამიანები, ყოველივე სიახლეს ცოტა შიშითაც ვუყურებთ. რთულია, განსაზღვრო, რა იქნება 30 წლის შემდეგ. ჩვენი ქვეყანა ჯერ ხომ განვითარების გზაზე დგას. ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს ასევე ჩვენი მშობლების დაკარგული ანაბრებიც.ამ ეტაპზე მე თავს ვიკავებ საპენსიო დანაზოგზე,თუმცა, მაინც უპირატესობას ვანიჭებ დაგროვებით ანაბარს.

რუსუდან ნადირაშვილი, **ინგლისური ენის მასწავლებელი**-ამ რეფორმამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაამართლა, ეს იმიტომ, რომ ხელფასები იყო მაღალი და ამ ფონდის მართვა სწორი გზით განხორციელდა, მაგრამ საქართველოში მსგავსი ტიპის ფონდის მართვის გამოცდილება საერთოდ არ გვაქვს , ამიტომ რისკები ძალიან მაღალია და მით უფრო, როდესაც ჩვენი ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული და ამ ფონდში დაგროვილი თანხა პენსიებს ვერ მოხმარდება.

ასეთი სახით პენსიის მიღება ნამდვილად სასიამოვნო იქნებოდა პენსიონერებისათვის, თუმცა, ამ პენსიის მიღება იმდენი ფაქტორის გამართლებასთანაა დაკავშირებული, რომ მე ის მიუღწევლად მიმაჩნია და, რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ ჩვენ ყურადღება არა მხოლოდ თანხის მოცულობაზე , არამედ უფრო მეტად მის მსყიდველობით უნარზე უნდა გადავიტანოთ, 30 წლის შემდეგ ამ თანხას შეიძლება ჩალის ფასი ჰქონდეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ მოსახლეობას ჯერ კიდევ მწარედ ახსოვს დაკარგული ათასობით მანეთი,რომელსაც დანაზოგის სახით ბანკში ინახავდა და უკვალოდ გაქრა. მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს უმაღლესი განათლება და უჭირს სამსახურის შოვნა, ასეთმა ადამიანმა რა უნდა ქნას, როგორ უნდა დააგროვოს ფული სიბერის უზრუნველსაყოფად? საზოგადოება ამისთვის არაა მზად და ვფიქრობ, დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს.

ლევან ლატარია, **კრედიტ-ოფიცერი**- დაგროვებითი პენსიის მიმართ სკეპტიკურად ვარ გამსჭვალული. როდესაც სახელმწიფო თითოეულ ჩვენგანს ისედაც 20%-ს გვაჭრის, დამატებით იძულებითი დაგროვებითი სისტემის შემოღება ჩემთვის მიუღებელია. ვისაც თანხის შენახვა და დაგროვება სურს, თითქმის ყველა ბანკი გვთავაზობს დაგროვებითი ანაბრის სერვისს და შესაბამისად, ყველა მოსურნეს შეუძლია ამ სერვისით სარგებლობა.მაშინ როდესაც, ასეთი მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში შექმნილი, იძულებითი წესით არ უნდა ხდებოდეს თანხის ჩამოჭრა და სადღაც შენახვა. ასეთი მაგალითი ქართველ ხალხს კარგად ახსოვს კომუნისტების დაშლის პროცესში, როდესაც არარეალური დაპირებების შედეგად ხალხის უმეტეს ნაწილს ფული შეატანინეს ბანკებში და შემდეგ გააქრეს.სახელმწიფოს, რომელსაც არც თუ ისე სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა აქვს და მისი საგარეო ვალი წლიდან წლამდე იზრდება, ვერ მოგვცემს მყარ გარანტიებს, რომ საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე შეძლებს ამ დაგროვებული თანხის უკან დაბრუნებას.

ლევან ალუღიშვილი, **პოლიტოლოგი** - დროულია თუ არა? ჩემი აზრით, დაგვიანებულიც კია ეს რეფორმა, რადგან, რამოდენიმე წლით ადრე რომ დაგვეწყო, დღეს უკვე გვექნებოდა ამ რეფორმის რეალური ხელშესახები შედეგები. საზოგადოება ყველა სახელმწიფოსთვის სასარგებლო რეფორმისათვის მზადაა ნებისმიერ ეტაპზე, რადგან თავის თავზე იგრძნობს ამ რეფორმის სიკეთეებს. ეს დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზეც, რადგან მას გაუჩნდება დამატებითი რესურსი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებისთვის. სახელმწიფო ჩვენი ხელფასიდან სესხულობს რაღაც წილს, რომელსაც იყენებს სხვა და სხვა პროექტებისთვის და მას შემდეგ, რაც მივაღწევთ საპენსიო ასაკს, აბრუნებს პროცენტებით.

სალომე ნატროშვილი, **იურისტი, მრჩეველი**-ამ კანონპროექტზე მსჯელობისას, ყველას უნდა გვახსოვდეს ის, რომ დაგროვებითი პენსიის ინსტიტუტის შემოღება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სახელმწიფო პენსიის გაუქმებას ან შემცირებას. სახელმწიფო პენსია დარჩება, ხოლო დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება 40 წლის ზემოთ ასაკის მქონე ადამიანებისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი ასაკის თვითდასაქმებულისთვის, ე.ი. იმ ადამიანებისთვის, ვისაც შრომითი ურთიერთობის გარეშე აქვს შემოსავალი.

როგორც იცით, დაგროვებით პენსიაში შემდეგნაირად აკუმულირდება თანხები: 2% (თავად დასაქმებულის დასაბეგრი შემოსავლის ოდენობას) +2% (დამსაქმებლის მიერ) +2% (სახელმწიფოს მონაწილეობა, რაც ნიშნავს თქვენი ხელფასის

(დასაბეგრი ოდენობა) 6%-ის ყოველთვიურად საპენსიო სააგენტოში დაგროვებას. ამ 6%-დან მხოლოდ 2 % იქნება თქვენ მიერ გაღებული.

ბუნებრივია, არსებობს ცუდი მეხსიერება მოქალაქეების ტოტალურ დანაკარგებზე და ძალიან რთულია ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის წარმოშობა, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აბსოლუტურად განსხვავებული რეალობებია და ის პერსპექტივა, რომელიც დღეს არის განსაზღვრული, სავსებით გონივრული და შესაძლებელია.

დასასრულს, ვეცდები ჩემი მოკრძალებული აზრი დავაფიქსირო, როგორც ეკონომიკურ საკითხებში არცთუ კარგად გაცნობიერებული ერთი რიგითი მოქალაქისა, რომელსაც მიმაჩნია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის დროს არსებული მაღალი ინფლაცია მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს, ხოლო ამ პირობებში წლების მანძილზე ხალხის მიერ დაზოგილი თანხები მოულოდნელად შესაძლოა „სრულფასოვანი სიბერის“ უზრუნველყოფისთვის არასაკმარისი აღმოჩნდეს, რეფორმამ კი ის მიზანი ვერ შეასრულოს, რისთვისაც შეიქმნა.

რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, თუ ჩემი ვარაუდები მცდარი აღმოჩნდება და ყველაფერი პირიქით მოხდება.

ელზა ხარაშვილი

კულტურაში იბადება, იზრდება და მაღლდება სიყვარული...

დღეს სერიოზული პრობლემის წინაშე დგას ქართული სოფელი - ის დაცლის პირასაა... მიგრაცია ამ საუკუნის ჭირია, რომლის შეჩერებაც წარმოუდგენელია. ზოგიერთი ადამიანი მიდის ქალაქსა თუ უცხოეთში, რათა განათლება მიიღოს და ისე დაუბრუნდეს მშობლიურ ქვეყანას თუ კუთხეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც სოფლად ცხოვრება არაპრესტიჟულობასთან ასოცირდება...

ბევრი ახალგაზრდა მიდის დიდ ქალაქში და აქ ინტეგრაციის სურვილით ივიწყებს იმ გარემოს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ცდილობს, "სოფლელობის" დამღა მოიშოროს და " ქალაქელი" გახდეს... სოლომონი ერთ-ერთი ღირსეული შვილია, რომელიც არ მორიდებია იმ უბრალოების, იმ სისადავის შეუნიღბავად საზოგადოებამდე მიტანას, რომელი წიაღიდანაც იგი გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სწორედ ამ უბრალოებაშია ყველაზე დიდი სიმდიდრე.

სულ ცოტა ხნის წინ მან დოკუმენტური კინოფილმი გადაიღო დაცლილ სოფელზე. თუ არა ტკივილი ამ საკითხისადმი, ამ ყველაფრის ხედვა არც იარსებებდა და იდეაც არ გაჩნდებოდა. სოლომონი არის მომღერალი, ხელოვანი, მაგრამ სტკივა და აწუხებს ქვეყნის სოფლების, მათი ფუძე-კერის ბედ-იღბალი, ამ სოფლების ხვალინდელი დღე. *სოლომონ გოგაშვილი* თავისი საქმით ამტკიცებს, რომ ის ქვეყნის ღირსეული შვილია, რომ წუთისოფლის სტუმრებს არასოდეს უნდა მოგვერიდოს იმ წიაღის დაფასება, სადაც გავიზარდეთ და შევისისხლხორცეთ მამა-პაპის ტრადიციები.

-სოლომონ, საზოგადოება გიცნობთ, იციან თქვენი მუსიკალური მოღვაწეობის შესახებ, ამავდროულად ისიც, რომ ძალიან დიდი პატრიოტი ხართ, თუმცა, ცოტამ თუ იცის, თქვენი ზუსტი ავტობიოგრაფიის და პროფესიის შესახებ, მოდით დავიწყოთ ამაზე საუბრით.

-დავიბადე სოფელ არბოშიკში, 1978 წლის 20 ნოემბერს. ბაგა-ბაღიდან საშუალო სკოლის დამთავრებამდე არბოშიკში ვსწავლობდი. სკოლის პერიოდში მქონდა 6 თვიანი პაუზა. 1993 წელს მე-9 კლასიდან გამოვედი და ჩავაბარე საქართველოს სამხედრო აკადემიის კადეტთა კორპუსში, სადაც მზადდებოდნენ მომავალი სამხედრო ატაშეები. თუმცა, იმ პერიოდში არსებული თბილისის სამოქალაქო და აფხაზეთის ომის გამო, არ მოგვეცა სრული განათლების საშუალება (გაჩერდა სასწავლო კურსი) და დავუბრუნდი არბოშიკის სკოლას. 1997 წელს ჩავაბარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის სპეციალობით. 2001 წელს სწავლა გავაგრძელე თსუ ისტორიის ფაკულტეტზე, დემოგრაფიის სპეციალობით. 2003 წელს ჩავაბარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში, ისტორიული დემოგრაფიის სპეციალობით. 2006 წელს სასურველი სადოქტორო თემა არ დამიმტკიცდა. მეცნიერთა 30 % თვლიდა, რომ არ პასუხობდა სტატისტიკური დემოგრაფიის კითხვებს. მეც ქიზიყური სიჯიუტით არ დავთანხმდი მათ მიერ შემოთავაზებულ თემას და განაწყენებული გავეშურე ლატვიაში საცხოვრებლად (აუცილებლად დავიცავ სადოქტოროს სასურველ თემაზე).

- რა გახსენდებათ ყველაზე ხშირად ბავშვობის მოგონებებიდან?

-პაპა და ბებია მახსენდება ყველაზე მეტად. პაპის გაზრდილი ვარ და გადამეტებულად მიყვარდა. 1866 წელს აშენებულ სახლში გავიზარდე. ყველა და ყველაფერი ტკბილი იყო იქა. ერთი დიდი ფილმის სცენარი გამოვა, იმდენი გასახსენებელი მაქვს.

-დღეს ვინ არის სოლომონ გოგაშვილი და რას საქმიანობს?

-დღეს ჩვეულებრივი გლეხი ვარ, რომელიც მცირე მიწას და ვენახს ამუშავებს. ხანდახან კონცერტებიც მაქვს თბილისში, საქართველოს რეგიონებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ვცდილობ, არ გავეთიშო მუსიკას, რაც ძალიან, ძალიან რთულია!

-თქვენ და არბოშიკი, მე თქვენს ფოტოებში ხშირად ვხედავ ვენახს, ფოთლებზე დაწყობილ ხილს და პურღვინოს. აშკარაა, რომ ეს ყველაფერი თქვენს სულთან ძალიან ახლოსაა და ძალიან ძვირფასია, ახსენით, როგორ გიყვართ არბოშიკი.

-ზემოთ აღვნიშნე პაპასა და ბებიაზე, რომ მათ ხელში გავიზარდე. გარდამავალი თაობა აღმოვჩნდით ჩვენი თაობა. როგორც ღრმად მოხუცებულ ადამიანს, ისე ვუყურებ და ველოლიავები სოფელს, ხალხს, მამა-პაპის ადგილებს, რადგან ვიცი, რომ ის შეიძლება სულ მალე წავიდეს და უბრალოდ ვეღარ ვნახო, ან იმ სახით აღარ იარსებოს, როგორიც იყო და როგორიც გვიყვარდა. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა სამყარო შეცვალა და ჩვენი არბოშიკიც შეიცვალა. ყველაზე ბედნიერი ჩემი სახლის აივანზე ვარ, საიდანაც მთელი სოფელი მოჩანს.

-ქართული ანდაზაა „თუ ბედი მწყალობს, არ ვნაღვლობ ბატონის ჩემის წყრომასაო" ... თქვენთან როგორაა ეს საკითხი? თქვენი ცხოვრებიდან აშკარად ჩანს, რომ მხოლოდ თქვენი წყალობით არ ხართ კმაყოფილი და თქვენთვის უმთავრესი მთელი სოფლის ბედ-იღბალზე ზრუნვაა. ამაზე მეტყველებს თქვენს მიერ გადაღებული კინოფილმი დაცლილი სახლების შესახებ. მოგვიყევით ამაზე, როგორ გაჩნდა იდეა?

-ალალად გეტყვით, არ მაქვს პატარა დიაპაზონი იმისთვის, რომ მუდმივად ვიცხოვრო თბილისში, ან თუნდაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში (სადაც უამრავი სამეგობრო მყავს). გაცილებით ადვილია 2-3 ოთახიან ბინაში გამოკეტვა, ცოლ-ქმრის ხელფასით სახლის გათბობა და გაურკვეველი საკვები პროდუქტების მოტანა სახლში. მე ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყანა და მისი კულტურა არის საქართველოს ულამაზეს რეგიონებზე დაყრდნობილი, რეგიონებში ყოფით ცხოვრებაში ჩამოყალიბებულ კულტურასა და ადამიანურ ურთიერთობებზე. თბილისი მსოფლიოს ერთერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქია თავისი დიდი ხიბლით, მაგრამ ჩვენი სოფლები განუმეორებელია ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ამ სოფლებში წარმოიშვა ქართული სიმღერა და ცეკვა, რომელსაც ანალოგი არ ჰყავს დედამიწაზე და რომლითაც ასე ვამაყობთ. ვიცი, რომ XXI საუკუნეში თითქმის შეუძლებელია მიგრაციის შეჩერება, სოფლების დაცლა და ხალხის გადინება დიდ ქალაქებში. ხალხს მეტი გართობა, ფისკალური შეღავათები და წახალისება სჭირდება სოფლებში დასარჩენად. მარტივად შესაძლებელია ამის განხორციელება. გული მიკვდება, როცა ვხედავ, ჩვენს ორღობეში სულ რამოდენიმე კაცია დარჩენილი, უამრავი დანგრეული და დაკეტილი სახლია.

-როგორ მოხდა დავით აღმაშენებლის ეპოქის გადაღება და მისი გადმოტანა ეკრანზე და თქვენი როლი ამ კლიპში თუ შეიძლება, გვიამბეთ ამის შესახებ.

-2007 წელს პირველად მომიწია მიზანსცენის თამაში გიორგი კალანდიას ფილმში — „ქართველი მამლუქები". ერთ-ერთი მამლუქი განვასახიერე მაშინ. სცენაზე შემამჩნია და მთხოვა, მიმეღო მონაწილეობა. ძირითადად ასე ხდება ეკრანზე მოხვედრა. კინო და მუსიკა განუყოფელია. გერმანიაში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა, მაია ფალავანდიშვილმა გადაიღო ფილმი — „სულისპირ", რომელიც ასახავს ანსამბლ „ჩვენებურების" მოღვაწეობას ევროპის ქვეყნებში. კამერა და კინო არაა უცხო ჩვენთვის.

-მუსიკალური კლიპი, რომელშიც მსოფლიო ფოლკლორისტები არიან

ჩართული, მინდა გითხრათ, შედევრია. ძალიან ძლიერი მუხტის მატარებელი კლიპია და ხშირად ვუსმენ, გთხოვთ, მოგვიყევით ამაზე.

- მადლობა მინდა გითხრათ ჩვენი კლიპის მაღალი შეფასებისთვის. ეს სიმღერა — „წუთისოფელი" გავაკეთეთ 2011 წელს. მას შემდეგ დიდი სურვილი მქონდა, რომ მაღალ დონეზე შესრულებულიყო ეს მელოდია. რაც შეეხება უცხოელ მონაწილეებს, 10-11 წლიანი მეგობრობა გვაკავშირებს მათთან და გვინდოდა, ეს მეგობრობა შემოქმედებითიც გამხდარიყო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ლევან მიქელაძეს, რომელმაც უმაღლესი დონის არანჟირება გააკეთა. ასევე დიდი სურვილი მქონდა, მონაწილეობა მიეღოთ ოზურგეთის ფოლკლორულ ანსამბლ — „იადონის" უხუცეს წევრებს, მოსე სვანიძეს და ბიძინა მჟავიას, რომლებიც ფესტივალი „არტ გენიდან" მეგობრობენ ჩვენთან, უკვე 14 წელია.

-კიდევ რა ფილმებში ხართ გადაღებული და რა ჯილდოებს ფლობთ?

-ანსაბლი „ჩვენებურები" გადაღებულია ავთო ვარსიმაშვილის ფილმებში — „ისპაჰანი ბათუმი" და „მიდი ძმაო, მიდი". დაჯილდოვებული ვარ უზბეკეთის ქალაქ სამარყანდის ფესტივალით „შარქტარონალარი" (აღმოსავლეთის მელოდიები), მესამე საპატიო ადგილი 56 ქვეყანას შორის.

-თქვენ და ქართული პურ-მარილი, ეს ძალიან ახლო თემებია, რას ნიშნავს თქვენი პურ-ღვინობა არბოშიკში და რა მუხტს აძლევს ის სოლომონ გოგაშვილს?

-თუ განსაკუთრებულად ახლობელი არ მეპატიჟება, რესტორანში სხვა შემთხვევაში არ დავდივარ. ჩემთვის სუფრა ნატურალურთან ასოცირდება, როგორც პურ-მარილთან, ასევე ხალხთან და ღვინოსთან. ჩემი მეგობრების 100 % ასევე მამაჩემის მეგობარი იყო. მამაჩემი გაცილებით ლამაზი, თამამი და გახსნილი იყო ჩემზე. ჩემს გარეშეც ხშირად ჩადიოდნენ მამასთან საქეიფოდ. ჩემთვის არბოშიკი და გაშლილი სუფრა იგივეა, რაც ტურინში, იუვენტუსის სტადიონზე ასპარეზობა! (იცინის) ეს არის ანესთეზია სულის, ხორცის და ცხოვრების. არ მიყვარს დიდი სუფრები. მაქსიმუმ 7 კაცი უნდა იჯდეს და განიცდიდეს. კარგია სუფრის ათვისება, როცა იქ სიყვარული, სიმღერა, ხუმრობა და სიალალე სუფევს. ზოგადად, ხშირად და ბევრს არ ვსვამ. შემიძლია 5 ჭიქითაც ვიქეიფო და 3 ლიტრითაც. გააჩნია განწყობას და გარემოს. ძალიან სახიფათოდ მეჩვენება ადამიანი, რომელიც საერთოდ არ სვამს. როგორც მინიმუმ, კაცს ქალი, ღვინო, ფეხბურთი და თავისი თავი მაინც უნდა უყვარდეს.

-შემოქმედი როგორ უნდა დაფასდეს სათანადოდ, რომ იგი ფიროსმანივით კიბის ქვეშ არ გარდაიცვალოს?

-შემოქმედი და, ზოგადად, ადამიანი, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა აფასებდეს და მერე სხვა-განაც დაფასდება. ფიროსმანი ჩემთვის უდიდესი თემაა (ჩემი დიდი ბებია ჰყავს დახატული — „სონა უკრავს გარმონს". დედაჩემის ბებია იყო ტიბაანიდან, სონა გურაშვილი). ნიკალა ძალიან გახსნილი და მსოფლიო დონის პიროვნება იყო. მას კავშირები ჰქონდა ევროპელ მხატვრებთან და ერკვეოდა მსოფლიო კულტურაში. ასე გლეხურად და ჩაკეტილად არ გამოიყურებოდა, როგორც ეს ისტორიამ მოგვაწოდა ჩვენ. უბრალოდ ეპოქის მსხვერპლი გახდა, როგორც იმ პერიოდის უამრავი მოღვაწე.

იმისათვის, რომ შემოქმედება და შემოქმედები დაფასდნენ, საჭირო არის მეტი ღონისძიების და ფესტივალის ორგანიზება. ბავშვებმა უნდა ნახონ ცოცხალი ბენდები, ნამდვილი ბენდები. ადამიანი არაა გაჩენილი მხოლოდ შრომისა და ბუნებრივი მოთხოვნილებებისთვის. ადამიანი საჭიროებს შემეცნებაში ცხოვრებას. ნებისმიერი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, მაინც საჭიროა კულტურული ცხოვრება. კულტურაში იბადება, იზრდება და მაღლდება სიყვარული. ქიზიყი არის - სანდრო ინაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ავლიპ ზურაბაშვილის, ალექსანდრე ალადაშვილის და ასეულობით გენიოსთა სამშობლო. ქიზიყური ხუმრობაც დიდი შემოქმედებაა. მეტი მუსიკა, ხატვა და სწავლა და ყველაფერი კარგად იქნება...

-ოჯახზე რას გვეტყვით, ვინ ხართ და რამდენნი ოჯახში?

-ოჯახში ვცხოვრობთ, მე, დედა, უფროსი და - მელანო, უმცროსი და - ხათუნა,ჩემი მეუღლე - დარია კოვალჩუკი, ვაჟი - 4 წლის ილია და 11 თვის გოგონა - ლირა.

-როგორც შემოქმედს, მინდა გისურვოთ მუდმივად მოთხოვნადი ყოფილიყოს თქვენი შემოქმედება, მუდმივად სმენადი და დაფასებული. წარმატებები.

ლალი მეხრიშვილი

მიტროპოლიტი შიო - მოსაყდრე და მომავალი პატრიარქი?

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ დაადგინა სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი, შიო მუჯირი, რომელიც, საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების, გადადგომის ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რომელიც შეუძლებელს ხდის კათოლიკოს-პატრიარქისათვის თავისი მოვალეობების შესრულებას, მართავს ეკლესიას ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 23 ნოემბერს დაწერილი ბრძანება მრევლს ქაშუეთის ტაძარში გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წირვის დაწყებამდე წაუკითხა:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ! სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დადგენილია მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, სენაკის და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი. ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ახსიოს!"

საპატრიარქოს ვებსაიტზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიის მიხედვით, მიტროპოლიტი შიო - ერისკაცობაში ელიზბარ თეიმურაზის ძე მუჯირი - დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს თბილისში. 53-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვიოლონჩელოს კლასში. 1991 წელს ელიზბარ მუჯირი მორჩილად დაემკვიდრა შიომღვიმის მონასტერში. 1993 წლის 5 თებერვალს მორჩილი ელიზბარი აღკვეცეს ბერად და უწოდეს სახელად შიო. 1998 წელს დაამთავრა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიის დაუსწრებელ განყოფილებაზე გააგრძელა. სხვადასხვა დროს იყო ილია წინასწარმეტყველის ტაძრის წინამძღვარი, თბილისის ანჩისხატის ტაძრის ღვთისმსახური, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი. 2001 წლის ოქტომბრიდან შიო მუჯირი მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, პარალელურად სწავლობს მოსკოვის წმიდა ტიხონის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში. 2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იღუმენი შიო გამოარჩია ახლად შექმნილი სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის წინამძღოლად. კათოლოკოს-პატრიარქის გადაწყვეტილების პასუხად მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა განაცხადა, რომ მოულოდნელი იყო საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ მისი დასახელება და რომ თავი მიაჩნია უღირსად მსახურებისთვის:

„ძალიან ვღელავ. ერთის მხრივ, ძალიან დიდი სიხარულია, რომ მისმა უწმინდესობამ ასეთი დიდი პატივი მარგუნა წილად, მეორეს მხრივ, ძალიან ვღელავ, რადგან ეს უდიდესი ჯვარია და იმედი მაქვს ღვთის მადლის შეწევნის, წმინდა გიორგის მფარველობის და მისი უწმინდესობის მამობრივი ზრუნვის".

მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა ისიც თქვა, რომ შექმნილია განსაკუთრებული ვითარება, რადგანაც ვერ იხსენებს შემთხვევას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაესახელებინოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე. თეოლოგ ლევან აბაშიძის თქმითაც, როგორც წესი, მოსაყდრის ვინაობა ცნობილი ხდებოდა პატრიარქის ანდერძიდან.

„ცოცხალი პატრიარქის შეთხვევაში თანამოსაყდრე ნიშნავს იმას, რომ მასთან ერთად მიიღებს მართვაში მონაწილეობას. თუ ისე გამოვიდა, რომ პატრიარქი ადრე გარდაიცვალა, ვიდრე მისი თანამოსაყდრე, 40 დღის განმავლობაში ეს თანამოსაყდრე აღასრულებს პატრიარქის მოვალეობებს დროებით და ცხადია, რომ იქნება პატრიარქობის მთავარი კანდიდატი. ფორმალურად არ ნიშნავს იმას, რომ გახდება პატრიარქი, მაგრამ არაფორმალურად შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ არის რეალური კანდიდატი", უთხრა ლევან აბაშიძემ რადიო თავისუფლებას.

თუმცა საბოლოოდ გადაწვეტილებას იღებს წმინდა სინოდი, რომელიც არჩევს სამ კანდიდატს, და საქართველოს ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელზედაც მოხდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა. გაფართოებულ კრებას კი იწვევს მოსაყდრე საპატრიარქო ტახტის დაქვრივებიდან 40 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრების მონაწილე მღვდელმთავართა ხმების ნახევარზე მეტს.

ტრიესტეში ქართველმა და იტალიელმა ქალებმა გიორგობა აღნიშნეს

იტალიაში, კერძოდ ტრიესტეში მცხოვრებმა და მოღვაწე ქართველებმა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული განსაკუთრებულად აღნიშნეს. როზმინის მოედანზე არის მაღალი,მრავალდარბაზებიანი ეკლესია („მადონა დელ მარე"), რომლის მესვეურთა დახმარებით ქართველ და იტალიელ მანდილოსნებს მიეცათ საშუალება, შეკრებილიყვნენ ერთ-ერთ პატარა დარბაზში და აღენიშნათ წმინდა გიორგის ხსენების დღე. ამასთანავე ეს გახლდათ კულტურული შეხვედრა. შეკრების მიზანი გახლდათ, გაეღრმავებინათ კარგი ურთიერთობა ქართველ და ტრიესტეს მკვიდრ ქალებს. ეს გახლდათ ორი ქვეყნის ქალბატონების კეთილი ნება, ააშენონ და გაამყარონ კულტურული ურთიერთობის კედელი, რაც ქართველებსა და იტალიელებს შორის შეიძლება არსებობდეს. ღონისძიებას ორგანიზატორობდა ჩვენი თანამემამულე, პოეტი მარინე ჭუმბურიძე. არაჩვეულებრივი ქართველი ქალბატონი, რომელიც გამუდმებით იბრძვის ქართული და იტალიური ტრადიციების ხაზგასმისა და შენარჩუნებისათვის. შეხვედრის მთავარი გზავნილიც ეს გახლდათ, ქართველების მიერ ტრიესტელებისთვის სამშობლოს ისტორიის, ტრადიციების,კულტურის, სამზარეულოს გაცნობა, რომელიც ქალბატონი მარინა ჭუმბურიძის წყალობით პოეზიით და სიმღერებით გაჯერდა....

„-მიხარია, რომ დღევანდელმა დღემ ლამაზად ჩაიარა.თანამემამულე ემიგრანტ ქალბატონებს ვაჩუქე ორიოდე ლამაზი საათი,რაც არც თუ ისე ხშირია ჩვენს ემიგრანტულ ცხოვრებაში. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენი მასპინძლები დიდი ინტერესით ისმენდნენ ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულს და თითოეული მათგანი გამოხატავდა სურვილს ამ „პატარა სამოთხის" ხილვისა. ვესაუბრეთ წმინდა გიორგის ღვაწლსა და ცხოვრებაზე,რასაც მოვაყოლეთ ქრისტიანობისთვის შეწირულთა ისტორიები... მათ პირველად იხილეს ჩვენი ლამაზი დამწერლობა და მოისმინეს ჩვენს მიერ სახელდახელოდ, ურეპეტიციოდ შესრულებული სიმღერები. დააგემოვნეს და აღფრთოვანდნენ ქართული სამზარეულოს ნიმუშებით"- აღნიშნა მარინა ჭუმბურიძემ ჩვენთან საუბარში...

„მე მინახავს ქართული ცეკვები და შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ ისეთი ცეკვა, როგორც თქვენი ეროვნული ცეკვაა, სხვას არ შეუძლია, თქვენ ეს სისხლში გაქვთ და ბედნიერი ვარ, რომ ვნახე. მე ვიცი თქვენი სამუშაო რეჟიმიც. თქვენ გმირობის ტოლფას ღვაწლს ეწევით და მადლობა ამ თბილი დამოკიდებულებისთვის,რასაც მთელი პასუხისმგებლობით აკეთებთ" - აღნიშნა ემიგრანტი ქართველი ქალების მისამართით ქალბატონმა ტერეზამ, რის შემდეგაც თითოეულ მათაგანს სიამაყის ცრემლი მოადგა თვალზე.

„-ღონისძიებას ესწრებოდა სააგენტო „ძმები გალასების" წარმომადგენელი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჩვენი საქმისადმი ერთგული და თავდაუზოგავი შრომის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სააგენტო ძალზე კმაყოფილია და ბედნიერი,რომ აქვთ კონტაქტი ადამიანებთან,რომლებსაც ქართველები ჰქვიათ. ჩვენც ჩვენის მხრივ მადლობა მოვუხადეთ სააგენტოს ჩვენი ნდობისათვის და აღვუთქვით, რომ ჩვეული რუდუნებით განვაგრძობთ ჩვენს მეტად რთულ, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობას. ღონისძიებას 25-იოდე ადამიანი ესწრებოდა,მაგრამ მე და ჩემი მეგობრები კმაყოფილებით სავსენი დავრჩით,რომ ტრიესტემ,სადაც წლებია ვმუშაობთ და ვცხოვროთ, უფრო ახლოს გაგვიცნო „პატარა სამოთხის"- საქართველოს მანდილოსნები, რომლებიც მათ მოხუცებს საკუთარი მშობლებივით, გნებავთ, ჩვილი ბავშვებივით, დავფოფინებთ. მასპინძლებიდან მივიღეთ რამოდენიმე მიწვევა საქმიანი შეხვედრებზე. მიხარია, რომ დღეს, წმინდა გიორგის ხსენების დღეს, ქართველმა მანდილოსნებმა ერთი ლამაზი დღე ვაჩუქეთ ერთმანეთს. „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცა ღმერთმა". ამისთვის მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა საჯაროდ მზია ხაჩიურიძეს, გურანდა თავართქილაძეს, ქეთი ყიზილაშვილს,ნელი ხუცაიძეს...

მანდილოსნებს, რომელთათვისაც დროს ოქროს ფასი აქვს და მაინც მოახერხეს მოსულიყვნენ, თუნდ მონფალკონედან (ტრიესტეს გარეთ), რომ სანთელი დაგვენთო და წმინდა გიორგისთვის შეგვევედერებინა ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა. შორეული ქვეყნიდან მოვიკითხავ ჩემს ქართველ ხალხს, ბედნიერი შობა-ახალი წელი მისურვებია თითოეულისთვის! მიყვარხართ და ვამაყობ ქართველობით!"-აღნიშნა ჩვენთან საუბარში შეხვედრის ორგანიზატორმა, პოეტმა მარინა ჭუმბურიძემ.

ლალი მეხრიშვილი

შირაქის სკივრი

1960 WLIS NOEMBERI

○ ZEMO MACXAANSI MCXOVREB MOXUC TAMRO NATROSVILS PATARA OBOLI SVILISVILI DARCA GAMOSAZRDELI. BEBIA MZRUNVELOBAS RODI AKLEBS BAVSVS, MAGRAM SAXELMWI FOC ZRUNAVS. PATARA KARLO RAMDENJERME GAIGZAVNA PIONERTA BANAKSI. MAGRAM MOXUC QALS AXLA SXVA SAZRUNAVI GAUCNDA. -MO ZVELEBULI SAXLI DANGREVIS PIRAS MIVIDA, SAKUTARI SAXSREBIT KI VERAFERS SVEŁO DA. ES SEUMCNEVELI AR DARCENIA SOFELS DA KOLMEURNEOBIS GAMGEOBAS. IMIS GATV-A LISWINEBIT, ROM TAMRO MRAVALI WLIS GANMAVLOBASI SROMOBDA KOLMEURNEOBA-SI, GAMGEOBAM GADAWYVITA AXALI BINIS MSENEBLOBASI MISTVIS DAXMAREBA GAEWIA. MOXUCIS EZO MANQANEBIS GUGUNMA AAXMAU-RA. ZVELI MCIRE SAXLIS ADGILAS AXALI, NATELI DA LAMAZI SENOBA DAIDGA.

○ WITELWYAROS ARMOSAVLETIT, SADAC RKINIGZIS XAZI MTIS ZIRSA SWRIS, MARJVE NA MXAREZE MTA-GORI AMAYAD GADMOHYUREBS DABAS. TITQOS IQADNEBA, DAMACA, ME SENZE LAMAZI KUTXE VIQNEBIO. MARTLAC SAAMAYO IQNEBA, RADGAN SICOCXLE DAMKVIDRDEBA. ARIMARTEBA SKOLA-INTERNATIS MRAVAL-SARTULIANI SAXLEBI, GASENDEBA VENAXI, XEXILI, YVAVILNARI. ATENURI ATAMIVIT LOYAWITELI DA TVALGULGABRWYINEBULI GOGO-BIWEBI DAEWAFEBIAN SWAVLAS. INTER-NATIS MSENEBLOBAZE 4 MILIONAMDE MANETI GAMOIYO. UNDA ASENDES 300 MOSWAVLISTVIS SAMSARTULIANI SAZINEBELI KORPUSI, 440 MOSWAVLISTVIS SKOLA, 8 BINIANI MASWAVLE-BELTA SAXLI, SASADILO DA ORSARTU-LIANI SAMEURNEO KORPUSI. GEGMIS MIXE-DVIT SKOLA-INTERNATI SAEQSPLUATACIOD 1961 WLIS DEKEMBERSI GADAECEMA.

○ QEDEBIS SOFLEBIS MCXOVREBNI SIXARU-LIT MOELODNEN ALAZNIS MRVRIE WYLIS MAGIVRAD MTIS WMINDA, WYAROS WYALS. MARTLAC, CVENS ONKANEBSI AXLA MXOLOD WMINDA WYALI MODIS, MAGRAM GASAWIRI ISAA, ROM AM BEDNIEREBAS ZOGJER MOKLE-BULNI VART. SOFEL ARXILOSKALOSI XSIRAD 3-4 DRE AR MODIS WYALI DA SORIDAN GVIXDEBA MOZIDVA. GARDA AMISA, ARXILOSKALOS SOFLIS BOLOS KVIRAZE METIA MILI GAMSKDARIA DA WYALI UMI-SAMARTOD IRVREBA. GASAKETEBLAD ARAVIN MODIS. AMASTAN, QEDEBIS SOFLEBSI, MTEL QSELZE ARCERTI ONKANI AR ARIS, RIS GAMOC WYALI SUL IRVREBA DA MARA-GI ILEVA. SAWIROA, WITELWYAROS WYAL-TA MEURNEOBIS XELMZRVANELMA AMXANAGEBMA DROULAD IZRUNON.

○ DIDI MXATVRIS, NIKO FIROSMANASVI LIS SAMSOBLO MIRZAANSI MIMDINAREOBS MISI SAXL-MUZEUMIS MOWYOBIS SAMUSAOEBI. SAXLI, ROMELSIC MXATVARI DAIBADA, UKVE GANTAVISUFLEBULIA XARAXURISGAN DA WAR-MOEBS MISI SEKETEBA. SEMOIROBA EZO DA SIG ARDGEBA VENAXI, XEXILIS BARI DA Y-VA VILNARI. AXLA MTAVARI ISAA, MOSAXLEOBA KONKRETULAD DAEXMAROS MUZEUMIS DIRE-QCIAS. MIAWODOS MXATVRIS PIRADI NIVTE-BI, MISI NATESAVEBISA DA MEGOBREBIS FO-TOSURATEBI, SABUTEBI DA MEMORIALURI NIVTEBI. NEBISMIERI MASALA MNISVNELOVANIA DACULI IYOS MUZEUMSI.

○ KARGI SAQME GAAKETA WITELWYAROS RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBAM, ROCA RKI-NIGZIS AXLOS AASENA SAKMAO FARTOBIS SAWYOBI, MAGRAM IGI NACQAREVAD GADASCA EQSPLOATACIASI. SAWYOBIS ORIVE MXA-RES MOEDANI DA SIGNIT IATAKIS NAXE-VARI MOASFALTEBULIA, FANJREBS MINE-BI ARA AQVS, GAMOSALESIA KAR-FANJREBIS CARCOEBI, RAC ANESTIANEBS DA ACUDEBS SURSATS. SAWIROA YINVIS GAZLIEREBAMDE KETILMOEWYOS SAWYOBI.

1975 WLIS NOEMBERI

○ KACI, ROMELIC RVIZLI SVILISATVIS ALIMENTIS GADAXDAS AR KADRULOBS, WI-TELWYAROS RAIONIS SOFEL ZEMO MA-CXAANIS KOLMEURNEOBASI MEQANIZATORAD MUSOBS. IGI MEURLES GASUL WELS GAE-YARA, MCIREWLOVANI SVILI ZURABI KI 1969 WELSAA DABADEBULI. SASAMARTLOM DAADGINA, ROM BAVSVI IZRDEBA DEDASTAN, ONIS RAIONIS SOFEL REBSI. MAMA BO-RIS LOBJANIZE NEBAYOFLOBIT ARAVITAR MATERIALUR DAXMAREBAS AR UWEVS TA-VIS PIRMSOS. DEDAS KI SEMOSAVALI ARA AQVS. SASAMARTLOM DADGENILI SAMARTAŁ-DARRVEVA ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBAS ACNOBA. RA UNDA VUTXRAT ASET MAMAS? CVENEBUR KACS LUKMA GARESETATVISAC AR ENANEBA, QARTVELI KACIS GULUXVOBAM SA-QVEYNOD HPOVA ARIAREBA DA AM DROS CVENS RIGEBSI MOIPOVEBIAN ADAMIANEBI, ROMELTAC SAKUTARI STAMOMAVLISTVIS KAPIKEBI SESUREBIAT. ARADA, CXOVELIC AR MIATOVEBS SVILS, SAKVEBIS GARESE.

○ AMIERIDAN, JAFARIZIS TBAZE MOSAXLEO-BAS MOEMSAXUREBA WYLIS VELOSIPEDEBI DA NICBIANI NAVEBI. AMASTAN SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS KOMBINATI QALTA SALONSI QALEBS SESTAVAZEBS MANIKURIS MOMSAXURE-BAS.

○ ZEMO QEDSI, ARXILOSKALOSI DA QVE-MO QEDSI CXOVROBEN MKLAVMOURLELI, SROMISMOYVARE, KETILI DA SPETAKI ADA-MIANEBI. MAT ARAERTI GAMARJVEBA MOIPOVES SROMIS SXVADASSXVA UBANZE. ES XALXI DILIS SAATEBSI TBILISSI MGZAVROBAS MOKLEBULNI IYVNEN, MAGRAM MOTXOVNA XELMZRVANELOBAM YURAD IRO DA GAMOYO AVTOBUSI, ROMELIC SARAMOS MATAREBELS SADGURSI XVDEBODA, XALXI QEDSI MIHYA VDA, DILIT KI MGZAVREBI MATAREBELZE AMOHYAVDA. MOSAXLEOBA KMAYOFILI IYO, RADGAN GAUIOLDAT GADAADGILEBA. IKLO SAMUSAO DREEBIS GACDENAMAC, MAGRAM SIXARULI DIDXANS AR GAGRZELEBULA. AXLA AVTOBUSI MXOLOD SARAMOS MODIS. MGZAVREBI QEDSI CAHYAVS DA MASINVE UKAN BRUNDEBA. DILIT KI MGZAVREBI AVTOBUSS AMAOD ELIAN. IMEDIA ZEMDGOMEBI QEDEBSI MCXOVREBI 15 000 ADAMIANIS SASARGEBLOD GADAWYVETEN SAKITXS.

○ RODESAC CVENS FURCLEBZE J. QI-ZIYELIS FSEVDONIMIT RAIME MXATVRULI NAWARMOEBI IBEWDEBA, GULACUYEBULI MKI-TXVELEBI IMDEN QEBA-DIDEBAS MIZRVNIANI SINDISI NEBAS AR MAZLEVS GULWRFELI GANMARTEBA AR GAVAKETO. FSEVDONIMIT `J. QIZIYELI~ WERS CVENI GAZETIS ERT-ERTI STATGARESE KORESPONDENTI DA ARA ME. ARADA, ES SECDOMIT ASE HGONIA CVENI MKI-TXVELIS UMRAVLESOBAS DA IQMNEBA DIDI UXERXULOBA. IMEDIA, AM GANMARTEBIS MERE MAINC ARAR IQNEBA ASETI GAUGEBROBEBI. PATIVISCEMIT - JEMAL MEXRISVILI.

○ GASULI WLIS 11 DEKEMBERS XANZARI GACNDA QVEMO QEDSI, BARAMASVILIS BINA-SI. GAMOIZAXES SAXANZRO. ZALIAN KARGIA, ROM QVEMO QEDIDAN WITELWYAROSI SET-YOBINEBIS DROULAD MIWVDA TELEFONIS XAZIT MOXERXDA. MAGRAM AQVE SAKITXAVI, RATOM ARXILOSKALOS SAXANZRO RAZMTAN VER SEZLES DAKAVSIREBA? ISINI XOM -BE-VRAD ADRE MIVIDODNEN ADGILZE? ASE XOM ARAR GANADGURDEBODA MTLIANAD SENOBA DA IQ ARSEBULI QONEBA? IGIVE MOXDA WELS, 14 IANVARS, KVLAV QVEMO QEDSI, CECXLI MEGRELISVILIS BINAS WAE-KIDA. SETYOBINEBA KVLAV WITELWYAROSI SEVIDA DA IS KI VERAVIN MOIFIQRA, IQVE GVERDIT SOFELSI, ARXILOSKALOS SAXAN-ZRO NAWILSI DAEREKAT. SIAXLOVIS GAMO ARXILOSKALOS RAZMI BEVRAD OPERATIU-LAD IMOQMEDEBDA. ASE KI ES ORI OJAXI GAMWARDA. OJAXIS DAUDEVROBIS GARDA ES ARIS KAVSIRGABMULOBIS KVANZIS -MU SAKEBIS BRALI, ROMLEBIC QVEMO QEDSI MSAXUROBEN. MTELMA QEDEBIS ZONAM UNDA ICODES, ROM ARXILOSKALOSI ARSEBOBS SAXANZRO RAZMI, JER MAT UNDA MIMAR-TON DA TU DAMATEBITI ZALEBIA SAWIRO, WITELWYAROSI SEMDEG DAREKON,~ - WERS WITELWYAROS SAXANZRO NAWILIS UFROSI V. BEQAURI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ტერორიზმის საფრთხე და საქართველო

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე ეზოში, იქ, სადაც 22 ნოემბერს მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა, ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება, თუმცა, იქ მცხოვრებ ადამიანებს შიში და სტრესი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გაჰყვებათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულ ს.დ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამ გადაწყვეტილებით მოსამართლე რომან ხორავამ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ბრალდებულის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს და სასამართლოს განჩინებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ს.დ. სამ თანამზრახველთან ერთად, ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დაბინავდა, სადაც ის და მისი თანამზრახველები მართლსაწინააღმდეგოდ, ტერორისტული მიზნით შეძენილ დიდი რაოდენობით ფეთქებად ნივთიერებებს, საბრძოლო მასალას, ასაფეთქებელ მოწყობილობებს და ცეცხლსასროლ იარაღს ინახავდნენ.

სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ს.დ. ქ.თბილისში, 2017 წლის 21 ნოემბერს დააკავეს. დაკავებისას მას მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები აღმოაჩნდა.

ს.დ.-ს დაკავების შემდგომ, ქ.თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში მყოფმა სამმა ტერორისტმა უარი განაცხადა სამართალდამცველთა მოთხოვნაზე - ბინის კარის გახსნასა და იარაღის ჩაბარებაზე. მათ ააფეთქეს ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღებიდან სამართალდამცველების მისამართით გახსნეს ინტენსიური ცეცხლი, რა დროსაც ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის ხუთმა წევრმა, ხოლო ერთი მათგანი მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

ს.დ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323^1-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, ტერორისტული მიზნით) და 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება), რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მესამე ნაწილით, 323^1-ე მუხლის პირველი ნაწილით და 328-ე მუხლით", - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურორის განმარტებით დღევანდელი სხდომა დაიხურა, რათა დაცული იყოს კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების უსაფრთხოება. „ამ პირთა ვინაობა რომ არ გაჟღერებულიყო და დაცული ყოფილიყო მათი უსაფრთხოება, სწორედ ამიტომ დაიხურა ეს პროცესი", - აღნიშნა პროკურორმა.

ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძე აცხადებს, რომ თბილისში ჩატარებული სპეცოპერაცია, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც გავრცელდა, საკმაოდ ეფექტიანი იყო. ის არ იზიარებს ექსპერტებისა და პოლიტიკოსების კრიტიკას პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ შტურმი ყოველთვის ბოლო ეტაპია და მისი დღისით განხორციელება ბევრად სჯობს შუაღამით მოქმედებას.

„მე ვთვლი, რომ, მიუხედავად სპეცსამსახურების ხშირი კრიტიკისა, სპეცდანიშნულების რაზმებში ჩვენ გვყავს საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალები და რა ინფორმაციაც გაგვაჩნია, იმაზე დაყრდნობით შემიძლია თქმა, რომ მათ იმოქმედეს საკმაოდ ეფექტიანად." — ამბობს ამირან სალუქვაძე

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილები საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ, რაც სუს-ის ხარვეზებზე მიუთითებს, სალუქვაძე ამბობს, რომ საქართველო ვერ ჩაუკეტავს საზღვარს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ტერაქტებს ხშირად ადგილობრივი მოქალაქეებიც სჩადიან.

მონატრება

მიშიკო ბიკაშვილი

ყოველი შემოდგომა ჩვენს ოჯახში სევდის მანდილს ააფრიალებს ხოლმე. 27 ნოემბერი, შენი დაბადების დღე ტკივილი და სევდა უფრო გამძაფრებით შემოგვიტევს, ფიქრებს აგვირევს და ისევ დავიწყებით უშენოდ შენი დაბადების დღის აღნიშვნას.

შენი ძმა ვერ ეგუება იმას, რომ აქ აღარ ხარ მის გვერდით, გელოდება და ჰგონია, სადაცაა კარებს შემოაღებ, ღიმილს და სიხარულს შემოიტან...

გელოდება.. გულის გულში კი იცის, რომ იმ სანთელს შენს სახელზე, რომ უნდა აანთოს შენს იმ ქვეყნიურ საცხოვრებელთან, ღმერთს უნდა შეავედროს შენი ლამაზი სული, გაუბედავი ჩურჩულით უკვე მეცხრედ უნდა გითხრას: დაბადების დღეს გილოცავ ძმაო, გპირდები, რომ დედ-მამას თვალზე დამალულ ცრემლს შეუშრობს, დედ-მამას, ვისთვისაც ასეთი მოუშუშებელი გულისტკივილი ხარ, ძნელია უშენოდ.. მათთვის არაფერი ავსებს და აქარვებს შენით მიყენებულ სიცარიელეს, დრო ვერ შველის იმ მონატრებას, რაც შენმა უდროო გარდაცვალებამ მოიტანა და დრომ ვერ გასცათ პასუხი კითხვაზე რატომ და რისთვის.

იმ მოგონებებით ვცხოვრობთ და ვცოცხლობთ რაც შენ დაგვიტოვე. შენ შორს წახვედი და მაინც აქ დარჩი, მარად ახალგაზრდა ღიმილიან ბიჭად, სულ რომ გიხსენებენ ოჯახში, სანათესაოში, სამეგობროში, სამეზობლოში, ყველასთან ვისთანაც კი რაიმე შეხება გქონია. მთელი ამ ხნის მანძილზე ყველა სიყვარულით გიხსენებს. შენს სიყვარულს კი გახელილი თვალებიდან წამოსული ცრემლები ჰქვია.

დიდი მონატრებით,
შენი ოჯახი

უახლოესი ნათესავები: ზურაბი, ნინო ნიკვაშვილები, ეკა ტალახაძე თანაგრძნობას უცხადებენ გია და მარიკა პოპიაშვილებს, ნანა ჭიჭინაძეს მამის, ბიძის და მაზლის

შოთა გოგის ძე პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფიროსმანი-ჩვენი სავიზიტო ბარათი

ნიკო ფიროსმანაშვილი, ეს ის გენიოსია, ვინც ქართველებს ასე გვეამაყება, ვინც ჩვენი ქვეყნისა და რაიონის სავიზიტო ბარათია და ვის ფესვებზეც ვაგრძელებთ ცხოვრებას. სწორედ ფიროსმანს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა. ღონისძიება ხელოვნების პედაგოგმა რუსუდან კიკილაშვილმა მოამზადა VI კლასის მოსწავლეებთან ერთად.

ნორჩებმა გააცოცხლეს ფიროსმანის ცხოვრება და მოღვაწეობა. იმ დღეს განსაკუთრებული განწყობა იყო დარბაზშიც, შემოდგომის ღამაზ ფერებს ენაცვლებოდნენ ფიროსმანის შედევრები: მეთევზე, მეეზოვე, მარგარიტა, თავადები, გოგონა ბუშტით, რუსი მხატვარი, შეძლებული გლეხი, ფიროსმანი კი კიბის კართან იდგა და ხატავდა და ხატავდა... მხატვარმა ცხოვრება ბნელი და ნესტიანი კიბის ქვეშ დაასრულა,ცხოვრება და არა სიცოცხლე. ფიროსმანის სიცოცხლე მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყო. პედაგოგმა ღონისძიების დასასრულს მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს დაფასებისთვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებსა და მათ მასწავლებელს მადლობა საჯაროდ გამოუცხადეს. ასეთი ღამაზი საღამოები ხორნაბუჯის სკოლისთვის ხომ უკვე ტრადიციაა.



ქორიძე, ნაცვლიშვილი, ლომჯარია თუ მენაბდე - სახალხო დამცველობის კანდიდატები

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე, სახალხო დამცველობის კანდიდატურები განიხილეს. არასამთავრობოები პარლამენტს ზვიად ქორიძის, ანა ნაცვლიშვილის, ნინო ლომჯარიას და ვახუშტი მენაბდის კანდიდატურებს სთავაზობენ.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, პარლამენტის მხრიდან ღირსეული და სწორი გადაწყვეტილება იქნება, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების შემოთავაზებას გაითვალისწინებს და სახალხო დამცველს შეთავაზებული კანდიდატებიდან აირჩევს.

„სახალხო დამცველის თანამდებობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დასახელებული კანდიდატები საკმაოდ ღირსეულები არიან. მათ თავიანთი საქმიანობის განმავლობაში დამტკიცებული აქვთ ადამიანის უფლებების მიმართ ერთგულება. არასამთავრობო სექტორმა პოზიტიური პროცესი გაიარა, როდესაც ოთხ კანდიდატზე ჩამოყალიბდა. იმედი მაქვს, უმრავლესობა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შეთავაზებული ოთხი კანდიდატიდან ერთ-ერთზე შეჯერდება“, - აღნიშნა ჩუგოშვილმა.

სახალხო დამცველის კანდიდატის არჩევის საკითხზე უმრავლესობის სხდომა ხვალ გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრაში მონაწილეობას პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილიც მიიღებს.

მოქმედ სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს უფლებამოსილების ვადა 7 დეკემბერს ეწურება. სახალხო დამცველს პარლამენტი 5 წლის ვადით ირჩევს.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 4 უმნიშვნელოვანესი ჯილდო მოიპოვეს

ავსტრალიის ქალაქ ბრისბანში, Asia Pacific Screen Awards-ის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე, ქართველმა კინემატოგრაფისტებმა 4 უმნიშვნელოვანესი ჯილდო მოიპოვეს, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

„დაჯილდოების ცერემონიისთვის ნომინანტები მსოფლიოს 70 ქვეყნიდან შეირჩა. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, სულ გაცემული 15 პრიზიდან, საქართველოს 4 ჯილდო მიენიჭა.

ჟიურის გრან-პრი ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს, ანა ურუშაძეს ხვდა წილად, ფილმისთვის „საშიში დედა“. „საშიში დედა“ ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმია, რომელსაც უკვე მიღებული აქვს ლოკარნოს კინოფესტივალზე „ოქროს ლეოპარდი“ და სარაევოს კინოფესტივალის მთავარი ჯილდო. კიდევ ერთ ქართველ რეჟისორს მარიამ ხაჭვანს კი ფილმისთვის „დედე“, იუნესკოს „კულტურული მრავალფეროვნების“ ჯილდო გადასცეს.

ფილმში „საშიში დედა“ შესრულებული მთავარი როლისთვის დაჯილდოვდა ნატა მურვანიძე, როგორც საუკეთესო მსახიობი ქალი.

ქართულმა საპროდიუსერო კომპანიამ 20 Steps Productions ფილმის პროექტის „ნენე“ განსავითარებლად MPA Apsa Academy Film Fund-ის ფულადი პრიზი მიიღო. ფილმს

მარიამ ხაჭვანი გადაიღებს, მისი პროდიუსერი კი ვლადიმერ კაჭარავა იქნება.

Asia Pacific Screen Awards, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით სტუმარი ესწრება, 2007 წლიდან იმართება და მას ღონისძიების მნიშვნელობისა და მისი მასშტაბურობის გამო აზიურ ოსკარს უწოდებენ“, - აღნიშნულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ულოცავენ!

ჯუმბერ უთრუთაშვილს!

ბატონო ჯუმბერ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. მრავალჯერ გაგეხარებინოთ მკითხველი თქვენი თბილი ლექსებით.

თქვენთან ერთად ვულოცავთ ოჯახს თქვენი შვილიშვილის მაგდას დაოჯახებას. ბედნიერი ყოფილიყოს მისთვის ეს ნაბიჯი.

სიყვარულით, პატივისცემით, ყოველივე კეთილი სურვილებით სერგო ქართველიშვილი, ლამარა მენთეშაშვილი, ნინო სეხნიაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 27.11		სამშაბათი 28.11		ოთხშაბათი 29.11		ხუთშაბათი 30.11		პარასკევი 01.12		შაბათი 02.12		კვირა 03.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
6°	4°	6°	5°	7°	5°	5°	3°	4°	3°	4°	3°	4°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.